ბორჯომის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი #1

ბორჯომი 14 დეკემბერი 2018 წელი

კომისიას ესწრებოდნენ:

1. ლევან ლიპარტია - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

2. გიორგი ყიფიანი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანებლი, კომისიი წევრი ;

3. გიორგი ჩადუნელი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;

4. მაია მახარაშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;

5. მაია პაიჭაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;

6. ეკა ლონდარიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;

7. ელისაბედ მჭედლიშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;

8. ეკატერინე სორდია - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;

კომისიას არ ესწრებოდა:

9. ჯუმბერ ბერიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი- შვებულებაში ყოფნის გამო;

დღის წესრიგი

ბორჯომის მუნიციპალიტეტში შემავალი ხიდების, საავტომობილო გზების, ფეხით სავალი ნაწილის, მოსაცდელებისა და გზის გამყოლი მოაჯირების შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოების შესყიდვის მიზნით განმეორებით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება, სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და დამტკიცება.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ლიპარტიამ კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ეკა ლონდარიძე.

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ლიპარტიამ აღნიშნა, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 ნოემბრის #02/2540 ბრძანებით გათვალისწინებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტში შემავალი ხიდების, საავტომობილო გზების, ფეხით სავალი ნაწილის,

მოსაცდელებისა და გზის გამყოლი მოაჯირების შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოების შესყიდვა.

"შესყიდვების ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის #7 ბრძანების თანახმად, აღნიშნულ შესყიდვას შეესაბამება კლასიფიკატორის კოდი 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ჟ)-პუნქტის შესაბამისად შესყიდვა ექვემდებარება ელექტრონული ტენდერის ჩატარებას.

სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-3 პუნქტის და "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების შესაბამისად სატენდერო კომისიამ შეიმუშავა ბორჯომის მუნიციპალიტეტში შემავალი ხიდების, საავტომობილო გზების, ფეხით სავალი ნაწილის, მოსაცდელებისა და გზის გამყოლი მოაჯირების შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოების შესყიდვის მიზნით განმეორებით ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 500072 (ხუთასი ათას სამოცდათორმეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

კომისიამ განიხილა სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში შემავალი ხიდების, საავტომობილო გზების, ფეხით სავალი ნაწილის, მოსაცდელებისა და გზის გამყოლი მოაჯირების შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოების შესყიდვის მიზნით განმეორებით ელექტრონული ტენდერის სისტემაში განსათავსებელი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება.

2.დაევალოს კომისიის აპარატს უზრუნველყოს აღნიშნული ტენდერის გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

კომისიის წევრები:

1. ლ. ლიპარტია
2. გ. ყიფიანი
3. გ. ჩადუნელი
4. მ. პაიჭაძე
5. მ. მახარაშვილი
6. ე. ლონდარიძე